	რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ეზო და შესასვლელი. პირველ სართულზეა დახურული ტიპის სპორტული დარბაზი, სადაც მოხვედრა შესაძლებელია შენობის შიდა კიბით. შენობის მეორე სართულზე შესვლა შესაძლებელია ეზოდან, რომელიც ადაპტირებული. მე-2 სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი პირველკლასელებისთვის, ისტ-ის კაბინეტი, თავისუფალი სივრცე კინოჩვენებისთვის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შეხვედრების ოთახი და სველი წერტილები. მე-3 სართულზეა 7 საკლასო ოთახია, სამასწავლებლო, ექიმისა და ფსიქოლოგის ოთახები, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები, საკანცელარიო ნივთებისა და რესურსების/თვალსაჩინოებების შესანახი ოთახი. მე-4 სართულზე-7 საკლასო ოთახი, ასევე განაყოფებისთვის გათვალისწინებულია 4 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის და მნეს ოთახები, ასევე არის 145 კვ.მ ფართის მულტიფუნქციური სასადილო და საიზოლაციო ოთახი. სკოლის გამწვანებულ სივრცეში მოწყობილია ღია საკლასო ოთახები და ასევე განთავსებულია გამჭვირვალე სფეროს ფორმის შენობა-ობიექტი, რომელიც უამინდობის დროს გამოიყენება სასწავლ აქტივობების განსახორციელებლად.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ნიკოლოზ ხუდადოვის N1-ბ
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.16. 02. 002/045
კვ.მ.	50000 კვ.მ მიწის ფართზე განთავსებული 3309.23 კვ.მ. შენობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882021510307 - 24/06/2021 11:04:48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შენობის აზომვითი ნახაზები • იჯარის ხელშეკრულება N24/06/2021, დამოწმების თარიღი24/06/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სულ არის 21 სრული საკლასო და 4 განყოფის ოთახი. ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ისტ-ის კაბინეტი, კინოჩვენების სივრცე, ბიბლიოთეკა, დახურული და ღია სპორტული მოედანი/დარბაზი. ვიზიტის დროს საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 300 ერთადგილიანი მერხი სკამით, ჭკვიანი და სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდა სკამებით და სხვადასხვა მიზნობრივი სასწავლო რესურსებით. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლის 400 ცალი მერხის (მაგიდა, სკამი) და მასწავლებლის 12 მაგიდის შესყიდვის ხელშეკრულება (58 000 ლარი), ასევე ნაწილობრივ გადახდის საბანკო დოკუმენტი (8 000 ლარი). ხელშეკრულების ვადა გათვალისწინებულია 2023 წლის 10 აგვისტომდე. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიღებას ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, ამიტომ არ ჩქარობენ ახალი მერხების სკოლაში დასაწყობებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული (300 და შეკვეთილი 400) მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას (600 მოსწავლე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შპს ,,ფრეზა“ ნასყიდობის ხელშეკრულება 13/07/2022 • საგადახდო დავალება-ს.ს. ,,თბს“ ბანკი • საინვენტარო აღწერილობა ბრ. 1-016-22; 5/09/2022 • შპს „ლუქს გრუპი“ ნასყიდობის ხელშეკრულება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს როგორც დახურული სპორტული დარბაზი ასევე ღია სპორტული მოედანი. დახურული სპორტული დარბაზი ორგანყოფილებიანია, სადაც სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, შესაძლებელია ერთდროულად ჩატარდეს როგორც კარატეს ასევე მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები. გარდა ამისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ეზოში შესაძლებელია განხორციელდეს მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები. სკოლა შეძენილი აქვს სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ჭადრაკის დაფები, ბურთები, ჰულა-ჰუჰი, ბადმინტონის ჩოგნები და ბურთები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • საინვენტარო აღწერილობა ბრ. 1-016-22; 5/09/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის მეორე სართულზე, ვიზიტის დროს, მიმდინარეობდა ახლადშეძენილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ავეჯი, კერძოდ სადემონსტრაციო მაგიდების დიზაინი საშუალებას აძლევს ეტლით მოსარგებლე პირს თავისუფლად გადაადგილდეს და მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის აქტივობაში. სადემონსტრაციო მაგიდებზე დამონტაჟებულია ონკანები და ცდების განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა (ჩამრთველები, დენის ძალისა და წინაღობის გასაზომი მოწყობილობები). ლაბორატორიაში არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ამწოვი კარადა. სკოლას ასევე შეძენილი აქვს ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის და საერთო დანიშნულების ლაბორატორია, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ხელშეკრულება-შპს ,,ნიუ ლაბთან“ №124; 14/07/2022 • ლაბორატორიის ავეჯის შემენის დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტრო ენერგიის,გაზის და წყლის მიწოდების უწყვეტობას უზრუნველყოფს პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომუნალური დაგახდის ქვითრები. შენობის ყველა სართულზე განთავსებული სველი წერტილები ბიჭებისა და გოგონებისთვის 3-3 განყოფილებით, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილების განკუთვნილია სკოლის თანამშრომლებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • კომუნალური გადახდის ქვითრები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაყოფილია რამდენიმე ზონად: სამკითხველო, კომპიუტერული სივრცე (4 კომპიუტერი) და ფერადი თაროები წიგნებისათვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 3516 ერთეული წიგნი, რომლებიც აღრიცხულია ელექტრონულად ექსელის ფაილში. ასევე წარმოდგენილია ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო. წიგნების მოძრაობის აღრიცხვაც ასევ ხდება ელექტრონულად. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში გამოფენილია სკოლაში შექმნილი სასწავლო რესურსები, სადაც გამოიყენება მეორადი ქაღალდები. ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის მენეჯერი, რომლის ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ბიბლიოთეკის მენეჯერმა ინტერვიურებისას ისაუბრა ბიბლიოთეკის როგორც საგანმანათლებლო რესურსის უდიდეს როლზე სასწავლო პროცესში. ასევე მის სამოქმედო გეგმებზე და პედაგოგთა დახმარებაზე ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში. წარმოგვიდგინა ბიბლიოთეკაში შექმნილი ფერადი სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რესურსები დაწყებითი კლასებისთვის, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო თემებისა და ცნებების გააზრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ბიბლიოთეკის ელექტრონულად დამუშავებული კატალოგი • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი • გასაუბრება ბიბლიოთეკის მენეჯერთან
სშეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლისთვის. შენობაში შესასვლელი (შენობის მე-2 სართული) ადაპტირებული, ასევე ადაპტირებული შესასვლელი აქვს სკოლის სასადილოს (მე-4 სართული). შიდა კიბეებისთვის დამზადებულია მოძრავი პანდუსები (რკინის რელსები). სკოლის ყველა სართულზე არსებულ სამ განყოფილებიან სველ წერტილებში ერთი სველი წერტილი განკუთვნილია სსსმ პირისთვის, თუმცა ადაპტირებული სველი წერტილის კარები საჭიროებს გადიდება, რათა ეტლით მოსარგებლე პირს მარტივად გადაადგილების საშუალება მიეცეს, სკოლის დირექტორის განმარტებით სსსმ პირისთვის იგეგმება სტანდარტის შესაბამისი სველი წერილების მოწყობა ყველა სართულზე ამ ეტაპზე სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირი არ ჰყავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული კლასში დგას 20 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი. კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესში ასევე სკოლის მართვაშიც. სამასწავლებლოში არის 5 პერსონალური კომპიუტერი და 1 ლეპტოპი, ექიმის კაბინეტში-1, ფსიქოლოგი-1, ბიბლიოთეკაში-4. სულ სკოლის მფლობელობაშია 40 კომპიუტერი, 4 პრინტერი/ქსეროქსის აპარატი, მუსიკალური სინთეზატორი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ჭკვიანი დაფებით. სკოლამ ვიზიტის დროს შეიძინა 10 პლანშეტი. თვითშეფასების კითხვარის თანახმად სკოლის ვებგვერდია www.greenschool.ge, თუმცა აღნიშნულ გვერდზე ძირითადად გვხვდება შპს „თბილისის მწვანე სკოლის“ შესახებ საკონტაქტო და საკომუნიკაციო ინფორმაცია. როგორც გასაუბრების დროს გაირკვა, ურთიერთმემორანდუმის საფუძველზე მწვანე სკოლას აქვს უფლება გამოიყენოს აღნიშნული ვებგვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ვებგვერდის განახლება და შპს ,, მწვანე სკოლა“ წარმოდგენილი იქნება ცალკე სუბიექტად . ამ ეტაპზე სკოლა აქტიურად იყენებს გვერდს სოციალურ ქსელში სახელწოდებით „მწვანე სკოლა - ნაძალადევი“, რომელიც გვაწვდის ინფორმაცია მწვანე სკოლაში მიმდინარე სიახლეებზე. სკოლას საკომუნიკაციოდ ელექტრონულ სივრცეში აქვს ფოსტა- info@greenschoo.edu.ge. ასევე მშობლებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს ელ. ჟურნალ- ,,schoolbook”-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • სოც. ქსელი https://www.facebook.com/nadzaladevigreenschool • დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.gloud9 ინვოისი და გადახდის ქვითარი • კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენეტაცია-სასქონლო ზედნადები და გადახდის ქვითრები • პლანშეტების შესყიდვის დოკუმენტაცია; ინვოისი და საბანკო საგადახდო დავალება ს.ს ,, თბს“ ბანკი • ხელშეკრულება-ინტერნეტ მომსახურების შესახებ- შპს სქაიტელი“ 25/10/2021 • ხელშეკრულება ვებგვერდის დამზადება / განახლებაზე შპს დოთ დიჯიტალი“ 4/11/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების შენობა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია ავარიული განათებები და „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები და სახანძრო ხელის ღილაკი. კვამლის დეტექტორები დამონტაჟებულია სხვენზეც. ყველა სართულზე და ეზოში დამონტაჟებულია ჰიდრალტი, რაც უზრუნველყოფს წყლის შეუფერხებელ მიწოდება. ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში.. სულ შენობაში განთავსებულია 16 ცეცხლმაქრი. შემუშავებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ პროექტი. აღნიშნული წესის მე-9 მუხლით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, ასევე შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. სკოლის შინაგანაწესის მე-10 თავი განსაზღვრავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციებს, მათ შორის ხანძრის დროს. წარმოდგენილი რისკების შეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლამ მაქსიმალურად უზრუნველყო მოსალოდნელი საფრთხეების ლიკვიდაცია, მათ შორის ხანძარსაშიშს მოწყობილობებზე. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სისტემატურად თვალს ადევნებს სახანძრო ინვენტარის გამართულ მუშაობას, ასევე უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლებისთვის უსაფრთხოების ზოგადი ნორმების გაცნობასა, მათ შორის ხანძრის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • შპს ,, მწვანე სკოლის უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ • საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმა • სახანძრო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • რისკების შეფასების ფორმა • ტრეინინგის ჩატარების მიღება-ჩაბარების აქტი. • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია, საევაკუაციო გეგმები, საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად ცენტრს ჰყავს ექიმი(პედიატრი) ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, შირმა, საათი, დამონტაჟებულია ონკანი და გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექიმთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, ასევე წამლების მიღებას და ჩამოწერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • გასაუბრება სკოლის ექიმთან • ექიმის დოკუმენტაცია • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	რამდენადაც სკოლა განთავსებულია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, წესრიგის და უსაფრთხოების ნორმების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სკოლის მთელი პერიმეტრი შემოსაზღვრულია და აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით. სკოლას აქვს ორი შესასვლელი, სამანქანო და საფეხმავლო. სამანქანო გზის მთელი მონაკვეთი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით. საფეხმავლო გზა, ტყე-პარკის გავლით კიბეებით გადის ქუჩაში, სადაც დამონტაჟებულია დეტექტორები და მხოლოდ ბარათის გატარებით შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე შესვლა. ქუჩაში გასასვლელს აქვს დიდი რკინის კარები. საფეხმავლო გზის სივრცე მთლიანად კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 3 დაცვის თანამშრომელი, ტექნიკური მენეჯერი და ორი ასისტენტი. სკოლას ასევე ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას შემუშავებულ აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად გადაგზავნილია 18/07/21.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები • შინაგანაწესი • გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან • საშტატო განრიგით • ტექნიკურ პერსომალთან ხელშეკრულებები. • ტრენინგის ჩატარების მიღება-ჩაბარების აქტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ეზო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. სკოლამდე მისასვლელი ორივე გზაზე დამონტაჟებული კამერები უზრუნველყოფს ტერიტორიის სრულ კონტროლს. ვიზუალური დათვალიერებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციის სკოლას აქვს 56 კამერა აქედან 25 კამერა დამონტაჟებულია შიდა პერიმეტრზე, ხოლო 31 კამერა გარე პერიმეტრს. კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების'' პროექტის მე-5 თავი ითვალისწინებს დაწესებულების ვიდეოთვალთვალის სისტემებით აღჭურვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრირების, პერსონალურ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გამოყენებისა და შენახვის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,მწვანე სკოლას“ შემუშავებული აქვს გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდების, შინაგანაწესის და თანამდებობრივი ინსტრუქციების სახით. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია პედ. საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1), ხოლო თანამდებობრივი ინსტრუქციები დირექტორის მიერ 2021 წლის 15 მარტის № 008/ს ბრძანებით. სკოლის წესდებით განსაზღვრულია ორგანიზაციის სტატუსი, საქმიანობის საგანი და მიზნები. საზოგადოების პარტნიორების უფლება-ვალდებულებები, მმართველობითი ორგანო-პარტნიორთა კრება, საზოგადოების ხელმძღვანელი-დირექტორი, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულია საზოგადოების შეწყვეტისა და დავების გადაწყვეტის წესები და პირობები. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრზე და სავალდებულოა შესასრულებლად. იგი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა/შეწყვეტა, წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის ვალდებულებები, სასწავლო გარემო, სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის პირადი გასინჯვა, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა, შინაგანაწესის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესი. სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა ფუნქციებს. სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია: მშობლებთან ურთიერთობის დებულება-(მშობელთა სახელმძღვანელო), უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა, ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი/მექანიზმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმები, დამრიგებლის მუშაობის დებულება; პედაგოგიური საბჭოს დებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი, საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მატერიალური რესურსების განკარგვის წესი და სხვა. გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება • სკოლის შინაგანაწესი • თანამდებობრივი ინსტრუქციები • მშობლებთან ურთიერთობის დებულება (მშობელთა სახელმძღვანელო) • ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება • დამრიგებლის მუშაობის დებულება • პედაგოგიური საბჭოს დებულება • პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი • უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა • ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი/მექანიზმები • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები • სტრატეგიული დაგეგმვის მექანიზმები • პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი, • საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა • მატერიალური რესურსების განკარგვის წესი • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ საქმიანი გარემოს კვლევისა და შესწავლის, ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) განსაზღვრის საფუძველზე, შეაფასა საკუთარი საჭიროებები, შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრა ექვსწლიანი სტრატეგია (2022-2028) და შეიმუშავა ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც (2022-2023). აღნიშნული გეგმები განხილული და დამტკიცებულია პედ. საბჭოზე. სკოლას დაგეგმილი აქვს 2022-2028 წლებში იმუშაოს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით: ✓ თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისი სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის განვითარება ✓ თანამშრომელეთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურენტული სამუშაო გარემოს შექმნა ✓ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმიზაცია და განვითარება ✓ სკოლის ორგანიზაციული განვითარება და საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია სტრატეგიულ მიზნებად, მიზნები კი ამოცანებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და დაგეგმილი აქტივობები პასუხობს სკოლის მიერ განსაზღვრულ ოთხ ძირითადი მიმართულებას. დაგეგმილი აქტივობები ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, გაწერილს კონკრეტულ დროში. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, სკოლის დირექტორის მიერ ტარდება ყოველწლიური მონიტორინგი და განიხილება სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების შესრულების სტატუსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა • 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა • პედსაბჭოს ოქმი N 1 (5/09/2022)
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ,,საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. სკოლაში საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ სკოლა აწარმოებს შემდეგი სახის საქმისწარმოების ჟურნალებს: ✓ შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი ✓ გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი ✓ საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი ✓ საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი ✓ მოსწავლის შესახებ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი ✓ ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები (შრომითი, მოსწავლეთა მშობლებთან, შესყიდვის და მომსახურების) დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ფორმდება სკოლის ოფიციალურ ბლანკზე და ხელმოწერისთანავე დაესვას სკოლის ბეჭედი, თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი. ყველა დოკუმენტი რეგისტრაციის შემდეგ თავსდება შესაბამის საქაღალდეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი (ბრ. N 1-001-22; 12/12/2022) • ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლას ჰყავს 67თანამშრომელი. მათ შორის დამფუძნებელი დირექტორი და დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი, 33 მასწავლებელი, ფსიქოლოგი, კომუნიკაციების მენეჯერი, ექიმი, მასწავლებლის ასისტენტები, დამხმარე მასწავლებლები, დიასახლისი, დაცვა, მებაღე, სამეურნეო ნაწილის გამგე, ბიბლიოთეკის მენეჯერი. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • 2022-2023 წლის საათობრივი ბადე; • გასაუბრება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	33
მოწვეული/მაძიებელი	0/4
უსტატუსო მასწავლებლი	8
უფროსი მასწავლებლი	20
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. აგრეთვე ცნობები ,,ნასამართლობისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“. ვიზიტის დროს სკოლა ჰყავდა 8 უსტატუსო მასწავლებელი, აქედან 4 მასწავლებელი სწავლობს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე, ხოლო 2 პედაგოგს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა და მომავალში გეგმავს პროფესიულ წინსვლას, ამ ეტაპზე მათთან გაფორმებულია კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები. ჭადრაკის და კარატეს პედაგოგებს აქვთ შესაბამისი მწვრთნელის სერტიფიკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამხმარე მასწავლებლის და ასისტენტი მასწავლებლის ფუნქციაა - გარკვეული სირთულეების მქონე მოსწავლეთა პირადი დახმარება ასევე მასწავლებლის მხარდაჭერა საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენების დროს. ამ პოზიციაზე ძირითადად შერჩეულია ,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის“ VI-VIII სემესტრის სტუდენტები, ან კიდევ ფსიქოლოგის კვალიფიკაციის ახალგაზრდები, რომლებსაც სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ეძლევათ კარიერული წინსვლის საშუალება და შესაძლებლობა აქვს გახდნენ მწვანე სკოლის პედაგოგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • სკოლის შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • 2022-2023 წლის საათობრივი ბადე; • გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში თანამშრომლის მიღება რეგულირდება შინაგანაწესის მე-4 თავით ,,შრომითი ურთიერთობის წარმოშობა“. მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. ღია კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teachers.gov.ge - ზე. განსაზღვრულია კონკურსის ეტაპები და შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატი მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა კონკურსის ჩატარების მასალები. კერძოდ დირექტორის ბრძანება ვაკანტური ადგილების, საკონკურსო კომისიის და გასაუბრების კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ. თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. შინაგანაწესის მე-6 თავით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და საბოლოო ანგარიშსწორების წესები და პირობები, რომელიც შესაბამისობაში საქართელოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 48-ე მუხლთან. შინაგანაწესის მე-7 და მე-12 თავებით რეგულირდება წახალისების და დისციპლინური სახდელების საქმისწარმოება. სკოლამ შინაგანაწესის დანართის სახით წარმოადგინა ,,მოსწავლესა და მასწავლებელზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებების საქმისწარმოება“ ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სადაც დეტალურადაა გაწერილი დისციპლინარული სახდელების სახეები და გამოყენების პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • შინაგანაწესის დანართი ,,მოსწავლესა და მასწავლებელზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებების შესახებ“. • კომისიის შექმნისა და გასაუბრების კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ (ბრ.1-007-22; 15/02./2022) • მასწავლებლის თანამდებობაზე ვაკანსიის გამოცხადების შესახებ (ბრ. 1-005-220 • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ანაზღაურების წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. დასაქმებული, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი გაეცნო სკოლის შინაგანაწესს. მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსის მითითებითა და სტატუსის შესაბამისი ფუნქციების აღწერით. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებთან ძირითადად გაფორმებულია ერთწლიანი ხელშეკრულებები. გამონაკლისს წარმოადგენს მაძიებელ/უსტატუსო პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლის ვადა 2 წელია და მასწავლებლებს ეძლევათ პროფესიული და კარიერული წინსვლის საშუალებას მწვანე სკოლაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები • პირადი საქმეები • სკოლის შინაგანაწესი
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლაში შექმნილია ყველა პირობა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია გადამზადნენ შემდეგი თემატიკის ტრენინგებში: AD/HD, რთული ქცევის მართვა, როგორ დავგეგმოთ ინტეგრირებული გაკვეთილები, საგნობრივი ტრენინგი ქართულში, მათემატიკაში და ICT (პროგრამა Scratch-ის სწავლება), შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები, სახანძრო უსაფრთხოება, ევაკუაცია და პირველადი სამედიცინო დახმარება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის პედაგოგებს არამარტო საქართველოს ბაზარზე არსებულ ტრენინგ კურსებთან აქვთ წვდომა, არამედ ყოველწლიურად მწვანე სკოლაში ჩამოდის საერთაშორისო ექსპერტი. მისი დანიშნულებაა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვება, უკუკავშირი, ტრენინგების ციკლი. პროფესიული განვითარებისათვის ხელშემწყობ აქტივობებს აღნიშნულ დაწესებულებაში პერმანენტული ხასიათი აქვს: ურთიერთდასწრება, სასწავლო რესურსების შექმნა, გაკვეთილებზე ფორმალური და არაფორმალური დასწრება, ყოველკვირეული შეკრება მეთოდ-გაერთიანების სახით და სხვა. მწვანე სკოლა მატერიალურ-ტექნიკური კუთხით ხელს უწყობს პროფესიული განვითარების ტრენინგების ჩატარებას და სრულ დაფინანსებას. ასევე, დამკვიდრებული პრაქტიკაა შიდა კარიერული წინსვლა. მაგალითად მასწავლებლის ასისტენტების დიდი ნაწილი სკოლის მასწავლებელი ხდებიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის მექანიზმები. • ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან/ თანამშრომლებთან გასაუბრება • ტრენინგების განხორციელების მიღება-ჩაბარების აქტი • თანამშრომელთა პირადი საქმეები/ სერტიფიკატები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების და მათ მიერ ჩატარებული აქტივობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას ემსახურება სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები: ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის მექანიზმები, ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი/მექანიზმები, მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სკოლის შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები. მშობლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა განსაკუთრებით ზრუნავს უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრავალფეროვანი კლუბები, სადაც მოსწავლეებს ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეუძლიათ გაწევრიანება. ასევე აქტიურად ტარდება სასკოლო კონფერენციები, ღონისძიებები. ხშირად ეწყობა მიზნობრივი გასვლითი ღონისძიებები და საქველმოქმედო აქციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან, მშობლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სოციალური ქსელი • სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: **☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა- გვერდების რაოდენობა -59 გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

თბილისი, 09.12.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.